დანართი 6

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი

<u>დამტკიცებულია:</u>

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის

დირექტორის 19.06.2024-ის N#2406/123 ბრძანებით

სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა

2024-2031

თბილისი 2024

შესავალი

კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“ (შემდგომში - “კოლეჯი”) წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მიზნად ისახავს, თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევების პირობებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოყალიბდეს შრომის უსაფრთხოების პროფილის მქონე კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო ცენტრად და შრომის უსაფრთხოების პროფილის კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადების გზით წვლილი შეიტანოს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში. წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმით (2024-2031) განსაზღვრულია კოლეჯის მისია/ხედვა/ღირებულებებზე დაფუძნებული განვითარების პრიორიტეტები 7-წლიან პერიოდში. გეგმა ასახავს კოლეჯის მიზნებს და მათი მიღწევის ღონისძიებებს მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენებით. დასახულია საგანმანათლებლო პროცესის და კოლეჯის სხვა ფუნქციების განხორციელების გზები, განსაზღვრულია მიზნის მიღწევის ვადები და ინდიკატორები.

1. კოლეჯის მისია და ხედვა

1.1. მისია

კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის ძალისხმევა მიმართულია უზრუნველყოს შრომის ბაზარზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტის დაძლევა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება კვალიფიციური კადრებით. სწავლების პროცესი წარმართოს განსაკუთრებული აქცენტით შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებას, გაძლიერებასა და განმტკიცებას.

1.2. ხედვა

2031 წლისთვის კოლეჯი „შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“ წარმოადგენს რეიტინგულ და ღია საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც თანამედროვე შრომის ბაზრისთვის აქტუალური შრომის უსაფრთხოების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებით, მოწინავე, შრომის უსაფრთხოებაზე აქცენტრირებულ საგანმანათლებლო პროგრამებით, შრომის უსაფრთხოების ყველა არსებული საკანონმდებლო ნორმის დაცვით და უსაფრთხოების კულტურაზე აქცენტირებით ქმნის კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს, რითაც წვლილი შეაქვს ქვეყნისა და საზოგადოების განვითარებაში.

2. ღირებულებები და პრინციპები

1. იზიარებს რა მოწინავე დასავლურ საგანმანათლებლო პრინციპებს, კოლეჯი მხარს უჭერს კრიტიკულ, ინოვაციურ და შემოქმედებით აზროვნებას;

2. საქმიანობს რა მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის და ხარისხის განვითარების პრინციპებით, ქმნის კოლეჯის საზოგადოებისთვის (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, შესაძლებლობებისა და სხვ.) თვითრეალიზაციის თანასწორ პირობებს;

3. აღიარებს რა კორპორატიულ კულტურას, ეწევა კოლეგიალობაზე, გუნდურ მუშაობაზე, ეთიკასა და ადამიანის უფლებების პატივისცემაზე დაფუძნებულ საქმიანობას;

4. იცავს საქართველოს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებულ ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და აყალიბებს შრომის უსაფრთხოების კულტურას მისი ფუნქციონირების სფეროში.

3. ჩართული მხარეების ანალიზი

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში განხორციელდა დაინტერესებული მხარეების კვლევა და კვლევის შედეგების ანალიზი. კვლევა ჩატარდა ფოკუს-ჯგუფების მეთოდით. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა შემდეგ სამიზნე აუდიტორიებში: 1) შრომის ბაზარზე ოპერირებადი დამსაქმებლები; 2) შრომის უსაფრთხოების სფეროში დასაქმებულები; 3) დასაქმების მაძიებლები. ფოკუს-ჯგუფების კვლევის გარდა ჩართული მხარეების ანალიზის მიზნით გამოვკვეთეთ სამიზნე ნიშნული - ზედამხედველობის ორგანოები. განხორციელდა საინფორმაციო ტიპის კომუნიკაცია, ინფორმაციის მოკრებისა და აზრთა გაცვლის რეჟიმში. სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურებიდან მოპოვებული იქნა ინფორმაცია შრომის ბაზრის არსებული მდგომარეობის: შრომის ბაზრის მასშტაბის და მოთხოვნების, დასაქმებულთა მაჩვენებლის შესახებ.

როგორც დამსაქმებელთა, ისე შრომის უსაფრთხეობის სფეროში დასაქმებულთა ჯგუფში გამოიკვეთა ერთის მხრივ, შრომის ბაზარზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების დეფიციტის და მეორეს მხრივ, შრომის უსაფრთხოების პრაქტიკოს სპეციალისტებში კვალიფიციურობის პრობლემები, რაც დაუკავშირდა ძალზედ ახალგაზრდა სისტემას (სულ რაღაც 4 წლის წინ დაიწყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების სერტიფიცირება) და მის გამოწვევებს. აღნიშნული პრობლემების მიზეზებს შორის გამოიკვეთა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებად რეალიზების სირთულეები, მათ შორის სწავლების პროცესში ინოვაციური მეთოდების გამოყენების სიმცირე. კადრების დეფიციტი და კვალიფიკაციის გამოწვევებით შექმნილი პრობლემები განსაკუთრებით შეეხება მაღალი რისკის საქმიანობებს. დამსაქმებლები მაღალ სანდოობას ანიჭებენ შრომის უსაფრთხოების სასწავლო პროგრამებში უცხოელი ექსპერტების ჩართულობას. დასაქმების მაძიებელთა უმრავლესობა თვლის, რომ გაივლის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამას და სარფიანად დასაქმდება შრომის ბაზარზე ამ სპეციალობის მოთხოვნადობიდან და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე. გამოკითხულების მხრიდან მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება სწავლების ხარისხზე და იმ უნარ-ჩვევებზე, რითაც სერტიფიცირებულმა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა თავად უკვე უნდა დანერგოს და მართოს შრომის უსაფრთხოების სიტემა, რათა დაიცვას დასაქმებულები და სხვა პირები უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებებისგან.

4. სტრატეგიული მიმართულებები

დაინტერესებულ მხარეთა კვლევის ანალიზის და პროფესიული განათლების არსებული სტანდარტების საფუძველზე ჩამოყალიბდა კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები 2024-2031 წლებისთვის:

4.1. თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით და სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო გარემოს განვითარება;
4.2. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
4.3. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება;
4.4. კოლეჯის საზოგადოებაზე (სტუდენტები, პერსონალი) მიმართული სერვისების განვითარება;
4.5. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;
4.6. ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობის სისტემის განვითარება.

5. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024-2031

სტრატეგიული მიზანი 1 - თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით და სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო გარემოს განვითარება

ამოცანები	წელი							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურა
	1	2	3	4	5	6	7		
ამოცანა 1 - საგანმანათლებლო პროცესის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა	+	+						კოლეჯში გამართულად ფუნქციონირებს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემა.	1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური; 2.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 3.ადმინისტრაციისა და საქმისწარმოების სამსახური.
ამოცანა 2 - სასწავლო აუდიტორიების განახლება, მ.შ. თანამედროვე ტექნოლოგიებით		+		+		+		კოლეჯს აქვს შესაბამისი კომფორტული ინვენტარითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები.	1.მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის სამსახური; 2.ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.
ამოცანა 3 - მუდმივად განახლებადი ბიბლიოთეკა	+	+	+	+	+	+	+	კოლეჯს აქვს მუდმივად განახლებადი საბიბლიოთეკო რესურსი, სახეზეა ახალი წიგნადი და ელექტრონული ეგზემპლიარები.	1.ბიბლიოთეკარი, 2.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
ამოცანა 4 - სტუდენტთა დამოუკიდებელი სამუშაო სივრცის ორგანიზება, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და მოდერნიზება		+		+		+		კოლეჯში მოწყობილია და პერიოდულად ახლდება სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი სივრცე, რომელიც აღჭურვილია კომფორტული ინვენტარით და თანამედროვე ტექნოლოგიებით.	1.მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური, 2.ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.

სტრატეგიული მიზანი 2 - შრომის ბაზარზე მოთხოვნადი შრომის უსაფრთხოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

								კოლეჯს შემუშავებული და განხორციელების უფლების	1.დირექტორი; 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ამოცანა 1 - საშუალო, მაღალი და განსაკუთრებით მაღალი რისკის საწარმოო პროცესთან დაკავშირებული კომპანიების ხელმძღვანელი რგოლისთვის შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება	+							მოსაპოვებლად წარდგენილი აქვს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა - "საშუალო, მაღალი და განსაკუთრებით მაღალი რისკის საწარმოო პროცესთან დაკავშირებული კომპანიების ხელმძღვანელი რგოლისთვის შრომის უსაფრთხოება".	3. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დროებითი სამუშაო ჯგუფი.
ამოცანა 2 - 2. დასაქმებულთა წამომადგენლებისთვის შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების ცოდნასა და უნარ-ჩების გამომუშავებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განხორციელების უფლების მოპოვება	+							კოლეჯს შემუშავებული და განხორციელების უფლების მოსაპოვებლად წარდგენილი აქვს ახალი - "დასაქმებულთა წამომადგენლებისთვის შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების ცოდნასა და უნარ-ჩების გამომუშავება".	1. დირექტორი; 2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 3. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დროებითი სამუშაო ჯგუფი.
სტრატეგიული მიზანი 3 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარება									
ამოცანა 1 - განათლების ხარისხის თემატიკაზე (სწავლების თანამედროვე მეთოდები, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდები და სხვ.) სასწავლო პერსონალის უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა	+	+	+	+	+	+	+	განათლების ხარისხის თემატიკაზე რეგულარული სწავლებების, სემინარების და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარების ამსახველი დოკუმენტაცია და მასალა.	1.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 3.პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური.
ამოცანა 2 - თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდების მხარდაჭერა - სიმულაციებისა და ვირტუალური მოდელების გამოყენება;			+	+				კოლეჯი სასწავლო პროგრამებში იყენებს ვირტუალურ-სიმულაციურ მოდელებს, სახეზეა სიმულაციური სწავლების	1.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2.ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური; 3.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

								კაბინეტი და მოქმედი ვირტუალური პროგრამები.	
ამოცანა 3 - ელექტრონული სალექციო კურსების შექმნა			+	+	+	+	+	კოლეჯს შექმნილი აქვს ელექტრონული სალექციო კურსები, რომლებიც საავტორო უფლებების დაცვით განთავსებულია საჯაროდ და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისთვის.	1.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 2.ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.
ამოცანა 4 - ხარისხის შეფასების მიზნით ადგილობრივი და უცხოელი აქტორების/ ექსპერტების ჩართულობა	+	+	+	+	+	+	+	კოლეჯს აქვს განათლების ხარისხის განვითარების ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობის დამადასტურებელი შეხვედრების, კონსულტაციების, ვორქშოფების და სხვ. ამსახველი მასალა.	1.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
სტრატეგიული მიზანი 4 - კოლეჯის საზოგადოებაზე (სტუდენტები, პერსონალი) მიმართული სერვისების განვითარება									
ამოცანა 1 - კოლეჯი რეგულარულად იკვლევს სტუდენტებისა და პერსონალის სერვისების საჭიროებას		+	+	+	+	+	+	კოლეჯს აქვს სტუდენტებისა და პერსონალის სერვისების საჭიროებების და მოლოდინების შესახებ გამოკითხვისა და შედეგების ანალიზის და რეაგირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მასალა.	1. პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური; 2. საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული ზრდისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური.
ამოცანა 2 - სპორტული, ტურისტული და შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა/მონაწილეობა		+	+	+	+	+	+	კოლეჯის ორგანიზებით ან მონაწილეობით სხვადასხვა სპორტული, ტურისტული და შემოქმედებით ღონისძიებების ამსახველი მასალა.	საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული ზრდისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური.

ამოცანა 3 - კურსდამთავრებულთა ინტეგრაციის ხელშემწყობი კლუბის შექმნა და განვითარება			+	+	+	+	+	კოლეჯში ფუნქციონირებს კურსდამთავრებულთა კლუბი, სახეზეა კლუბის წევრები და კლუბის ღონისძიებების ამსახველი მასალა.	საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული ზრდისა და სტუდენტურ საქმეთა სამსახური.
სტრატეგიული მიზანი 5 – საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება									
ამოცანა 1 - საგანმანათლებლო პროცესსა და პროგრამებში საერთაშორისო კომპონენტის განვითარების პოლიტიკის შემუშავება	+							კოლეჯს აქვს საგანმანათლებლო პროცესსა და პროგრამებში საერთაშორისო კომპონენტის განვითარების პოლიტიკის ამსახველი დებულება და გეგმა.	1.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
ამოცანა 2 - სტუდენტებისა და პერსონალისთვის უცხო ენების სწავლების გაძლიერება	+	+	+	+	+	+	+	კოლეჯში ფუნქციონირებს უცხო ენების შემსწავლელი კურსები სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის.	1.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; 2. პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური; 3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.
ამოცანა 3 - უცხოელი მასწავლებლების (ტრენერების) მოწვევა;		+	+	+	+	+	+	უცხოეთიდან მოწვეული მასწავლებლების (ტრენერების) კოლეჯთან თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტაცია და მასალა.	1.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, 2.სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; 3.პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური.
სტრატეგიული მიზანი 6 – ეფექტიანი და გამჭვირვალე მმართველობის სისტემის განვითარება									
ამოცანა 1 - მმართველობის სისტემის თავსებადობის უზრუნველყოფა მოწინავე დასავლურ მიდგომებთან და გამოწვევებთან.	+	+	+	+	+	+	+	კოლეჯში მოქმედებს თანამედროვე დასავლური მმართველობითი სისტემების ღირებულებებზე დამყარებული მმართველობის სტრუქტურის, ფუნქციის, შეფასებისა და ცვლილებების გატარების	1. პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური, 2. იურიდიული სამსახური; 3.დირექტორი.

								ნორმატიული ბაზა და მექანიზმი.	
ამოცანა 2 - მმართველობის სტრუქტურების წარმომადგენელთა უწყვეტი განათლება ეფექტიანი და გამჭვირვალე დასავლური მმართველობითი სისტემების საკითხებზე.	+	+	+	+	+	+	+	თანამედროვე დასავლური მმართველობის საკითხებზე კოლეჯის მმართველობითი სტრუქტურების პერსონალის უწყვეტი განათლების ამსახველი დოკუმენტები და მასალები.	1. პერსონალის მართვისა და უწყვეტი განათლების სამსახური, 2.დირექტორი.